





1896 წ. № 11



საქართველო „მის მ რამინ“

და

ქართული „მის რამინ“

I

9898

სპარსეთის გაკლენა საქართველოზედ ეჭვს გარეშეა ეველს-  
თვის, ვინც კი დასლოებით უკვირდება ჩვენს ენას, ჰოეზიას და  
საერთოდ კულტურას. თუ ქართულს ლექსიკონს აიღებთ ხელში,  
იქ შესვდებით მრავალს სპარსულს ან არაბულს სიტყვებს სპარსეთ-  
ში გადაქმნილს, რომელთაც დაჭყარეს ძველი ჩვენი ტერმინოლო-  
გია. მიუბრუნდებით სალიტერატურო ნაშთებს, თქვენს ყურადღებას  
იქცევს საპატოო რიცხვი სპარსულ ნაწერთა ქართულად გადმოღუ-  
ბულთა. მოინდომებთ ერის ზნეჩვეულების და სარწმუნოებრივი წარ-  
მოდგენის შესწავლას, აქაც ვერ ასცდებით სპარსეთის ზედგაკლე-  
ნას, ჩვენს დრომდის თვალსაჩინოდ გატარებულს და დარჩენილს  
ერის ცხოვრებაში. მკითხველი ნუ იფიქრებს, რომ ჩვენნი წინაპარნი  
ითვისებდნენ უცხო ტომის კულტურას გარეგანის მხრივ, მესანი-  
კურად. რამდენადაც მეტს დააკვირდებით ჩვენი მეზობლებისგან შე-  
მოტანილს საქართველოში გონებითს და ზნეობით განძს, იმდუ-  
ნად მეტად დარწმუნდებით, რომ ლექსიკონიც, ჰოეზიაც და ზნე-  
ჩვეულებაც ქართველს ერს გარდუქმნია, თვის ნაციონალურ გემო-  
ზედ მოუწევია, განკერძოებითი ბეჭედი დაუესამს და ადგალობრივი  
სამჭედლოს ქანცეცხლში გაუტარებია, — ერთის სიტყვით, აუცილე-  
ბელი და სხვა-და-სხვა ტოტიდან მოდენილი წყარო ერთფეროვნე-  
ბის ღარში მოუჭტევია, შეუგნია და შეუხორცვებია გარეშე ერთა გა-  
კლენა იმდენად, რომ ასლა ჩვენთვის სამხელე ვამხდარა, რა ვაგუ-

თნოთ თვით ქართველი ერის შემოქმედებითი ძალას და რა მივაწე-  
 რთო მითვისებულ განძს. მაგალითები გნებავთ? აი ბატონო! ორჯულ  
 ვისმარე სიტყვა «განძი», იქნება ვერც კი გრძნობთ — იმდენად შე-  
 თვისებულად გაქვთ, — რომ ეს ტერმინი სპარსული ენადან: «განჯ»  
 ნასესხები გვაქვს, საიდანაც წარმოსდგა სპარსულად «განჯინ» და ქარ-  
 თულად «განჯინა». პირველს შემთხვევაში შემოვიტანეთ სასეპეცვლი  
 ლად და მეორე სიტყვას კი დაუცვამს სრულიად სპარსული ფორმა.  
 სპარსულმა სიტყვამ «ქამარი» დაჭყაჩაღა ნამდვილი ქართული ტერმი-  
 ნი სარტყელი, სპარსულმა სურდ — «სურდა» შეჭამა ქართული «წვრი-  
 ლი», სპარსულმა «სეპე» — საბაბი დაიჭირა ადგილი ქართულს «მი-  
 რეზ»-თან. ჩვენ არ გამოგუდგებით სხვა მაგალითების მოყვანას, — ეს  
 საკითხავი ღირსია კერძო გამოკვლევისაც, — საკამარისად მიგვანხნა  
 ნათქამიც ჩვენი აზრის შესამაგრებლად. მაგრამ ერთი-ორი სიტყვაც  
 უნდა მოგასწავლოთ უნე-ჩვეულებების ხასიათზე, რომ შემდეგ გადა-  
 ვიდეთ ამ წერილის პირდაპირ საგნის განხილვაზე. საქართველო-  
 ში აქამდის დარჩენილია წარმოდგენა ჯოჯოხეთზე, ეშმაკზე, ბე-  
 წვის სიღზე, ციცხლის პატივისცემაზე. დიდ წყევლად მიაჩნიათ,  
 თუ ეტყვიან ვისძე: კერა კი გაგიქრესო, ან თუ ბუნარში შეაფურ-  
 ისებთ. ჩვენი «ეშმაკი» სპარსელების ეშმაკა, რომელიც ემსახურებო-  
 და არამისს, ღმერთს მოწინააღმდეგეს ასურამაზდისას (ჩვენი არ-  
 მაზი). ბეწვის სიდი, რომელზედაც გაატარებენ ცსონებულს და წა-  
 წყმენდილის სულს, გადმოტანილია საქართველოში ზენდაკესტის  
 მოძღვრებიდან. ყველას ამას, როცა დაუკვირდებით, შეიმცნებთ ქარ-  
 თველი ერის გონებისა და ზნეობით მდგომარეობას, არგვეთ მის  
 გულტურაში მეტად რთულს კვანძს, გადასლართულს ადგილობრივ  
 და უცხო ტომის ზედგაუყენის ნიშნებს. საბერძნეთის დაწეებითი  
 გულტურაც ახლა ირგვეს ეგვიპტის და ბაბილონ-ასსურეთის ზედ-  
 მოქმედებით. მაგრამ საბერძნეთის ერმა ამ შემოტანილს წყაროს თა-  
 ვის ბეჭედი დაასვა და განსპეცაკებული გადასცა მთელს ვაცობრიო-  
 ბას. ჩვენშიც სწორედ ამნაირი პრატესი მოხდა. ქართველებმა სპარ-  
 სეთის და ბიზანტიის გულტურა შეიტანეს კავკასიის ერთს ცხოვ-  
 რებაში იმ სახით, როგორც ჩვენმა ხალხმა იგი შეიგნო და შეი-  
 თვისა. ამით ახსნება, რომ ოსებმა, ჩერქეზებმა, ყუმიკებმა და სხვ.

ქრისტიანობრივი სასულწოდებანი, საეკლესიო მოწუბილებანი, საე-  
რეპოლიის მოტივები მიიღეს იმ სახით, როგორც მათ გადასცა  
საქართველს გაკლებამ. ამ საგანზედ ბეკრი საუწყადლებო ცნობანი  
მოაბრება вЪ Материалахъ по археологiи Кавказа, вып. I и II.  
და ამ მოკლე ხანში გამოსულ ტომში Записки Кавказ. Отд. Рус.  
Геогр. Общ., кн. XVIII, ხსენ წერილი ივ. პანტიუხოვისა „О Ку-  
мыкахъ. Антропологическiй очеркъ“.

სპარსეთის ისტორია და ლიტერატურა, რომელიც ასე მჭე-  
დრად დაკავშირებულია ჩვენს წარსულთან სამწესაროდ აქამდის სა-  
კმარისად არ არის შესწავლილი. ქართული სიტყვიერების ნაშთთა  
შემსწავლელი, მეტადრე იმ ნაწარმოებთა, რომელნიც სპარსულით  
ნათარგმნებდა ცნობილნი არიან, დიდს გაჭირვებაში ებმის, როცა  
საქმე მოინდომებს შედარებით გამოკვლევას, წყაროს აღნიშნვას,  
ანუ მასთან განსხვავების მოძებნას. რას იზამს ჩვენი ლიტერატურ-  
ის ისტორიკოსი, როცა ქართულად გადმოღებულს «ლეილა და  
მავნუნის» ნაზამის ნაწერთან შედარებას განიზრახავს? როგორ გაი-  
თვალისწინოს სპარსეთის სიტყვიერება, როცა საუკეთესო წყაროდ  
მის გასაცნობლად სპეციალისტებისაგან აღიარებულია სპარსული  
სელნაწერების კატალოგი ბრიტანიის მუზეუმისა? (Catalogue of  
the persian manuscripts in the British Museum. By Charles Rien, ph.  
D. 1881) მართალია, ეს კატალოგი სამს დიდს წიგნად არის გამო-  
ცემული, მაგრამ მანც სელნაწერების აღწერის მეტს თითქმის ვერას  
იბოკით! არის ერთი კიდევ წყარო სპარსეთის ლიტერატურის შე-  
სასწავლად, ეს გახლავთ Geschichte der schönen Redekünste Persiens  
mit einer Blütenlese aus zweihundert persischen Dichtern. Von Joseph  
von Hammer. Wien 1818. მაგრამ აქ მოყვანილი ნაწვეულები არ არის  
საკმარისი, რომ ქართველმა მეძიებელმა მათზე დაამყაროს გამოკვლევის  
შედეგი და წარმოსთქვას გარდაწვეულები არის. ეს დაბეჭდული  
წიგნი კიდევ მანც საუკეთესო სახელმძღვანელოდ ჩათვლება, კიდ-  
რე პატარა წიგნაკები: Herm. Ethé. Die höfische und romantische  
Poesie der Perser. Hamburg. 1887 ანუ Barbie be Meynard. La poé-  
sie en Perse. Paris 1877. ამგვარივე ნაწვეულები ხასიათის წიგნაკია  
J. Darmesteter. Les origines de la poésie persane. Paris. 1877. ეპი-  
კურ თხზულებათა შესასწავლად რიგიანი გამოკვლევა მოელისა წი-

ნასიტყვაობაში შანსის თარგმანის Le loire des rois par Abdoul Kasim Firdousi, trad. par J. Mohl. Paris. 1876. Preface I—CXII. აქ, ამ წინასიტყვაობაში აღნიშნული არიან ის ნაწარმოებები, რომელთაც კავშირი აქვთ ფიჭვდარუსის გმირებთან, შეადგენენ შანსის გაგრძელებას ან იქ მოყვანილი ამბების განვითარებას და გაზვიადებას.

ასეთი მდგომარეობა სპარსული ლიტერატურის ისტორიის იმიტომ არის, რომ აქამდის მომეტებული ნაწილი სპარსული ხელნაწერებისა არ არიან აღბეჭდილნი. ჩვენთვის დიდს დამახრკველებელს გარემოებას შეადგენს მონოგრაფიული გამოკვლევის უქონლობაც. რომელიმე ერის ისტორიის შემსწავლელი ვერ იტვირთებს ერთს და იმავე დროს გამოიკვლიოს შეუმუშავებელი მასალა იმ ტომთა ნაშთებისაც, რომელთაც ქრონიკა გულისხმობს აღძრული საკითხავის ბედ-აღბალზე. ამიტომაც ქართული სიტყვიერების ისტორია, — იმ ნაწილში მანაც, რომელსაც სპარსეთის ზემოქმედება ეტეობა, — დაჩვენება წყვედადით მოცულია, ვიდრე ევროპელთა მეცნიერნი არ მოკვანწოდებენ სპარსეთის ლიტერატურის ისტორიას.

თითო-ორჯერ ჩვენი ლიტერატურის განხილვან შეიძლება შევადაროთ სპარსულს დედანს, რადგანაც დრო-გამოშვებით იბეჭდებიან აქა-იქა სპარსული სიტყვიერების ნაშთთა შესახებ გამოკვლევანი. იმ რომანზედ (პოემასზედ?), რომელზედაც ჩვენ განვიხილავთ ბასის, არსებობს ამ უამდ გერმანიულად წერილი ვრაფის\*) (Zeitschrift d. Morgenl. geselschaff, B. XXIII) და რუსულად ბარონ შტაგელბერგის (Восточ. Дрив. т. II. в. I). ამ ორ გამოკვლევით ვისარგებლებთ ჩვენი წერილის მასალად და როცა საჭირო იქნება მივმართავთ თვით სპარსულს დედანს.

«ვისრამიანზედ» ჩვენს მწერლობაში სამი აზრი ტრიალებს: ერთნი ჭეჭირობენ, რომ იგი ორიგინალურია და დაუწერია თამარ-მეფის დროს სარგის თმოგველს, მეორენი იმ აზრს ადგანან, რომ «ვისრამიანი» გადმოთარგმნილია სპარსულით და მესამენი — რომ ქართველ მთარგმნელს მხოლოდ გაუგონია «ვისის და რამინის» ამბავი და თავისით დაუწერია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართულს «ვის-

\*) ამ მწერლის აზრით გერგანს „ვისრამიანი“ ლექსად გადუქმებულია 1042—1055 წწ. განმეგობაში.

რამიანს» წყაროდ «თვალაური» დედანი ჭქონია და თავისებურად შეუმუშავებია. ამ აზრის განსამტკიცებლად ჩვენ მოვიყვანთ სპარსული «ვისრამიანის» შინაარსს, როგორც იგი დაუცვავს პოეტს გურგანს მე-XI საუკუნეში. რადგანაც ქართულად ეს მოთხრობა ყველას წაკითხული აქვს, აღარ ამოუყუენებთ გვერდით ქართულ «ვისრამიანის» შინაარსის გადაცემას მეტადრე იმიტომ, რომ ამ მხრივ განსხვავება მეტად უმნიშვნელოა შედარებისთვის.

II

სატასტო ქალაქს,\*) მეგრეს, ცხოვრობდა მეფე მობედი, რომელსაც ემორჩილებოდა მთელი ქვეყანა. მობედის წინ თავს ისრინდნენ არამც თუ ჩინეთის და რომის იმპერატორნი,—თვით ცის მხნათობელნიც მასთან ამხანაგობით ამყობდნენ. ერთხელ, სამეფონადიბუდ მობედმა შენიშნა გათქმული სილამაზათ ქალი შესრუ და მოისურვა მისი ცოლად შერთვა. შესრუმ უარი განაცხადა და მოასუნა შაჰის, რომ იგი უკვე გათხოვილია, კეთილად ცხოვრობს გარეთთან და ჭყავს რამდენიმე მამაცი ვაჟიშვილი. რაკი შესრუსთან დაქორწილება შეუძლებელი აღმოჩნდა, მობედმა სთხოვა, რომ ქალიშვილი მაინც, თუ ოდესმე ბედნიერს ცოლქმარს დაებადებათ, მათხოონ მას, მეგრის შაჰის. შხრუ დასთანხმდა და პირობით შეეკრა მეფეს ჯერ დაებადება ქალი მისთვის მიეთხოვებინა. აქედან იწყება მობედის უბედურება. გავიდა რამდენიმე წელიწადი და შესრუს დაებადა «მხეთ უნახავი» ქალი ვისა. შესრუს დაავიწყდება მიცემული შაჰისათვის სიტყვა და მათხოვებს თავის ასულს, თვისსაკე ძმას ვიროუს. მაგრამ ქორწილის დღეს, ნადიმის დროს, გახნდება ზერდი, ძმა მობედისა, რომელიც დაუყვანებლივ ოსოულადს დანიშნულის წყევანს მეგრეში. ვისა ცივს უარზედ არის, მოხუცის შერთვა არ იამება—და რაკი შეიტყობს ამ ამბავს მობედი, წამოვა

\*) სპარსული „ვის ო რამინ“ გამოიცა 1865 წ. კალკუტაში: Wis o Ramin, a Romance of ancient Persia, transl. from the Pahlavi and rendered into verse by Fakhr Al-Din Asad Al-Astarabadi, Al-Fakhri, Al-Gurgani. Edited by Captain W. N. Lees and Munshi Ahmad-Ali.

აუარებელი ჯარით შესამუსრავად კარენისა, ვისას მამისა. თუძცა  
 ომში დამარცხდება მობედი, მაგრამ საჩუქრებით მოულობს შესრუს  
 გუფს და მას შეაპარებენ სასახლეში, საიდანაც ძალდატანებით წაი-  
 ყვანს საწყაფს ვისას მეტში. გზაში ქარმა ააფრიალა ჩარდასი გუ-  
 ბოსი, სადაც ჩაბმანეს ვისა და ყველასათვის გულწამტანი ქალი გა-  
 მობრწყინდა რამინის, მობედის ძმის, წინაშე. რამინი მთლად აენ-  
 თება სიყვარულით სარძლესადმი. როცა ვისა მოიყვანეს მეტში, ვე-  
 რაფრით ვერ დააშოშმინეს და დაამშვიდეს სასოწარკვეთილებამდის  
 მისული ქალი, თუძცა თან გამოყოფილი მოახლე ცდილობდა ცბიე-  
 რებით დაერწმუნებინა თვისი გზადილი, რა დიდი ბედნიერება მოუ-  
 ლის მას მობედის სასახლეში. რამინიც, დაშვარი ვნებათა ღელვით,  
 მიტმართავს ამავე ცბიერ მოახლეს და დაითანსმებს შეამავლობა გა-  
 უწიოს ვისასთან. პირველსანში ვისა უარზედ არის, მაგრამ როცა  
 იგი ნახავს რამინს, მისს გულში გაიღვიძებს სიყვარულის ნაპერ-  
 წკალი. თუძცა ვისი ცდილობს ჩაქრეს ანთებული გრძნობა, მაგრამ  
 «შეუბრალებელი სიყვარულის მატდური დასტემს სულში გასისხლია-  
 ნებულს კლანჭს» და რა ჩაუგლავს ერთგულების და მოკალეობის  
 სხივს, «ვნებათა ღელვა დაუბრძაკებს გონების თვალთახილვას». შე-  
 მდეგ, როცა მობედს გარედ დაიგულებენ, ვისა მიიღებს თავისს  
 ოთანში რამინს და აქ მიეტყვიან ალგზნებულს ნეტარებას. ასე გა-  
 ატარებს რამინი ორს თვეს სატრფოსთან სიყვარულის მორეკში  
 ჩთანთქმული, ვიდრე არ მოუყა მობედისაგან მიწვევის წერელი სა-  
 ნადიროდ მიდიაში. შატის ბრძანებით თან წაიყვანს ვისასაც თავის  
 მოახლეთ. ერთს დილას მოახლე გააღვიძებს ვისას და მოახსენებს  
 გამოეთხოვოს რამინს, რომელიც ემზადება შორს სამგზავროდ და  
 სომხეთში სანადიროდ. მობედი ახელს თვალებს და სასტიკად გა-  
 უწერება ქაღბატონსაც და მის მოახლესაც. ქმარი ჯერ კიდევ თვალ-  
 ახვეულია, არ იცის კავშირი ვისას და რამინს შორის, თუძცა ქა-  
 ლი უგვე გამოუტყდა ვიროის, თვისს ძმას და წინანდელს საქმროს.  
 მაგრამ არ არს-რა დაფრულ, რაც არა გამოემყლავნდეს! ერთსელ, რო-  
 ცა მობედი მეტვის სასახლეში უჯდა გვერდით «ვერცხლებრივ თეთრს  
 გუფიანს ვისას» და უმტკიცებდა მეუღლეს, რა ბედნიერება სკდა მას  
 წილად, ვისამ კვლარ დაფარა ადელეგებული გრძნობა და გამოუცხადა



ქმარს, რომ იგი მასთან ყოფნას ბედნიერებად არ სთვლის, რადგან გული განუყოფლად დაუსაკუთრს რამინს. განრისხებული შაჭი გავსანის უკან ვისას მასხადაში და აქ ტუმენკარებით აღესილი ქალი «დედ და ღამ გაჭყურებს ხორასნის გვას».

რამინიც თუძცა ფიცს აძლევს მობედს დაიფიცოს ვისა, ვერაფრით დაშვიდებულა: ნადირობის და საცოლას ძიების მაგიერად კუხისტანიდან რამინი მიეშურება მიდიაში და აქ შეიღს თვეს გაატარებს ვისასთან დამთრობელს ალერსში. გაიგებს მობედი რამინისაგან ფიცის შელახვას და აღიჭურვება ჯარით მის დასასჯელად, მხოლოდ დედის ჩაგონებით შაჭი თვისს ძმის მოდრეკის მაგიერად, გარეცხლებული აღიძვრის უდანაშაულო ვირუს წინააღმდეგ, მაგრამ რაკი დარწმუნდება, რომ ვირუს, ძმის და ვისის უბედურს საქმრას ცოლო არაფერში არ მიუძღვის, მობედი დაწინააღმდეგა, ანატოებს მოღაჯატე ძმას და ორგულს ცოლს და სამივენი დაბრუნდებიან მერვში, სადაც რამდენიმე ხანს მშვიდლობით სცხავრობენ.

თუძცა მობედი გარეგნობით შეუროგდება ცოლს და ძმას, მაგრამ ეჭვი მის გულში ისევე მოქმედობს. ამიტომ მოითხოვს ვისასგან, რომ მან ერთგულობასეგდ დაიფიცოს ცუცხლით მოგებების წინაშე. ვისა რა დაინახავს აღგზნებული ცუცხლის ალს, ცამდის ასულს, შეშინდა, შაჭმა დაწვაც არ განიზრახოს და ამიტომ სთხოვს რამინს გააზაროს იგი მერვიდან. შეყვარებულნი გაიქცვიან და შეფარებიან ქალაქს რეში ბესრუსას, შერუსვილის, სასლში. მწუხარე და გულ-მოკლეული მობედი დიდ ხანს და უნაყოფოდ ეძებს თავისს ახალგაზდა ცოლს. ვისას დედა გაიგებს ამ ამბავს და ურჩევს მობედს შერის ძიებასეგდ უარს სთქვას და იგი უბრვის გაქცეულს დედოფალს. მობედი დასთანხმდება და ვისა რამინითურთ ისევე დაბრუნდებიან მერვში: შეყვარებულთა მისკლამოსკლამ, რასაკვირველია, არ ისჯობა და მათი გაბედულობა იქამდის მიაღწევს, რომ ერთს ღამეს ვისა დაატარინებს გამდელს თავისს ადგილს ქმრის სარეცელსეგდ და თითონ გაიზარება რამინთან. აქაც მოტუეებული ქმრის დაშოშმინება ადვილად მოასკრას უკეთურმა ვისამ: როცა მობედმა დაიწყო ყვირილი, ვისამ მოიზინა და დაარწმუნა შაჭი, რომ მისს

ეჭვიანობას საფუძველი აკლას და აისხნება იგი მხოლოდ მობედის ძალზედ შეზარსებით. საწყალი ქმარი გაჩემდება.

გავიდა რამდენიმე ხანი. შაჰი მოემზადა რომის იმპერატორთან სომარად და ვისას უურისგდება ჩაბარა ზერდას, თავისს ძმას. ჯარში ჩაერთა რამინიც, მაგრამ გურგანში გზიდანვე დაბრუნა შაჰმა თავის ავად გამსდარი ძმა. რამინი გამოეშურა მერვში და რაკი გაიგო, რომ ვისა მიუდგომელ ცისეში შეუფარებიათ, გასწია სეტრფოს სანასაკად. ნიშნის შეილდისარს ესერის ცისეს და გააკებინებს ვისას, რომ იგი დაბრუნდა და ეძებს საშუალებას მასთან შეიპაროს. ვისა და მოასლე მოხერხებით შეაპარკენ რამინს და აქ დაჭყოფს იგი ათს თუეს საყვარლის გვერდით. მობრუნდება მობედი და შეიტყობს თავის მეუღლის ურცხვობას და პირველად განურისხდება ზერდას, რომელსაც ჩაბარა ვისას თავდაცულება. რამინი კი თუმიცა გაიპარება ოთახიდან, მაგრამ შაჰი იბრვის თოკს, რომელზედაც ჩაუშვებს ციხიდან ქალბატონი მოასლის დასმარებით. ამ საქციელისთვის მობედი გალასაკს ცოლს და მის მოასლეს-გამზდელს.

მობედი დაბრუნდება მერვში და აქ სუსტის ხასიათის წყალობით მოინანიებს, მოაყვანიებს ვისას, აპატიებს რამინს და იქამდის მოლბება, რომ ცბიერს მოასლეს გადასცემს სასახლის გასაღებს, ვიდრე თვით დაჭყოფს ქაბულს. მოასლე ახლა კი გაჭირვეულდება და არ უშვებს ვისასთან რამინს, რომელიც სეტიალის შემდეგ მიიმინებს მობედის ბაღში. ვისა მაშინ გაესკვება ჩადრში და გაიპარება რამინთან. ამ დროს მობედიც ეჭვიანობით აღძრული გაჩნდება მერვში. რამინი ვიდრე გაუძრება ბაღიდან და განრისხებული შაჰი მოიწადინებს ვისას მოგვლას. მაგრამ ზერდას ჩარევა და მოვარეულობა გადაარჩენს ვისას.

ეს შეტაკებაც გათავდება მობედის და ვისას შერიგებით, თუმიცა იგი გასტანს მეტად მოკლე ხანს. ერთს მშვენებურ ზაფხულის საღამოს მგოსანი «ქუსანი» მობედის თანადასწრებით ლექსად აქებას ვისას და რამინის სიყვარულს. ამ ლექსში გამომელაუნდება სამარცხვინო მდგომარეობა შაჰის, მოსდება ჯერ ლანძღვა და შემდეგ კრივიც მობედსა და რამინს შორის. ამას შემდეგ რამინი დაანებებს თავს მერვს და დაინიშნება შაჰისგან გამკედ რეის, გურგანის და კუნის-

ტანისა. ერთს მარცხში, გურაბს, რამინი ნადირობის დროს შესკდება ლამაზ ქალს გულას, რომელია შერთვისაც მოიწადინებს. გულა დასთანხმდება იმ პირობით, რომ რამინმა დაივიწყოს ვისა. რამინი ნიშნად ასალი სატროფოს ერთგულებისა მისწერს წერილს ვისას და გამოუცხადებს, რომ ამიერიდან ყოველი კავშირი მათ შორის მოსპობილია. გულაშემოყრილი ამ მოწესრიგებით ვისა გაუგზავნის რამინს გამოცდელს, მაგრამ ამ უკანასკნელს ლანძღვით გამოისტუმრებს უკან. მაშინ ვისა დაწერილებს მეშენის რამინთან ბატონს, რომლითაც ცდილობს დაიბრუნოს დაკარგული სიყვარული. \*)

საბედნიეროდ, რამინს და გულას შორის ჩამოკარდა უთანხმობა, გულგრილობა დაეტყუათ ორთავეს და რამინი განიმტანავს ისევე ვისასთან დახლოებას. რამინი მოკლავს რამაგვანა გულას ძმას და გასწევს მერვისკენ. გზაში აზინი გადასცემს ვისასგან წერილს და აუხსებს რამინს გულს სიხარულით. მერვეში გამოწერილი მოტროფაილიანი შერიგდება, თუმცა ვისა პირობითებით შეუბრალებული არ უშვებს სსსსსსსსს რამინს, რომელიც იძულებულია ყინავში და ბუქში გაატაროს ეს დრო. მოთმინებიდან გამოსული რამინი აპირობს უკან წასვლას და მხოლოდ ახლა მისცემს ვისა მას სულს და ერთს თვეს გაატარებინებს სსსსსსსსს. ერთს დამეს რამინი გაკავს მერვიდან და პირველი სადგურიდან სტასტო ქალაქიდან დიდის ზეიმით დაბრუნდება მერვს. მობედი გასარბული მძის ნახვით გაიწევს სანადიროდ გურგანისკენ. მოახლის რჩევით რამინი ახლა კი გაბედავს ძალდატანება იმპაროს. დამე გამოიპარება მეუთის ბანაკიდან ორმოცი თანამსვლელითურთ ქალის ტანისამოსიანი და გაჭეკება ვისას, რომელიც ამ დროს ბრუნდება სსსსსსსსსიდან, სადაც მან შესწირა სამადლობელი მსხვერპლი. დადგა დამე და შეთქმულები დაუცნენ კარის მტკელებს და თვით რამინი მოჭეკავს ზეკდს, თვის ძმას. რა დაიჭერს მთელს სსსსსსსსსს და მიითვისებს სამეფო განძს, რამინი გასწევს დეილემ და გილანისკენ.

\*) „ვისის და რამინის“ მიწერ-მოწერამ განსვენებულს პროფ. დ. ჩუბინაშვილს მისცა საბუთი ეს რომანი შეედარებინა ჟანჟაკ-რუსოს „ელოიზასთვის“. ჩვენ სხვა ადგილს შევნიშნეთ, რომ ეს შედარება მხოლოდ გარკვეულ ფორმას შეეხება და არა შინაარსს.

მოსიდადუნი გულუხვი სახეუქრებით, დეილეშის და გილანის მტნოკრებთა მოთავენი გადუდგებინა მობედს და მიემხრობიან წამინს. შაჰი რაკი შეიტყობს ძმის აჯანყებას, დაბანაკდება ქალაქ ამულას ახლას. შემოსევეით რძი არ მოხდება ძმათა შორის: მოულოდნელად ბანაკში გაჩნდება ეშვი, რომელიც დაჭუფეთს მობედს და მისს ცხენს. შაჰის სიკვდილის შემდეგ წამინი, ვითარცა კანონიერი მემკვიდრე, აღიარებულ იქმნა მეგრის მეფედ. დიდ ხანს იმეფა კეთილად და უხვი წყალობის გაცემით მოიპოვა ერის პატრიარქაჲ. როცა ვისამ განუტევა სული, წამინმა უაწყურ მსოფლიო არაობა, გაუნაწილა სახელმწიფო თვისს რაჲს შეიღეს და თვითონ შეეფარა ცეცხლის თაყვანის მცემელთა ტაძარს, სადაც გაატარა უგანასკნელი დღენი ღოცვით და გედრებით. ამით თავდება სპასხული პოქმა. \*)

### III

როგორც ხედავთ დასასრული ამ მოთხრობისა არ ეთანხმება ჩვეულებრივ წარმოდგენას ტრაგიკული კენძის და მის გამოხსნის შესახებ. მართლაც, მოუდრეკელი ვისას სიყვარული იწვევს ჩვენს თანაგრძნობას, მაგრამ გერკვინ იტყვის, რომ დათვრუნვა შეეყარებულთა-მიერ მათი განმამოკრებელ გარემოებისა არის შედეგი ვისას და წამინის ზნეობითი ღირსების უპირატესობისა დანარჩენ პირთა წინაშე. მეტად ანხელი და ამასთანავე სუსტი მობედი ვერ ჰბადავს მკითხველში სიმპათიას და თუმცა პოქტი გავუწეებს, რომ მობედმა ვერ დაუბადებელი ქალის დანიშნით გამოიწვია ღვთის განგების რისხვა, იგი ასურათებს მას უფრო სასაცილოდ და სამარცხვინოდ, ვიდრე აუცრელბელ და ტრაგიკულ მდგომარეობაში ჩაყენებულ გმირს. აგრედვე ვისა და წამინიც არ არიან წმინდა წყლის გმირები: ცბიერებით და მოხერხებით აღჭურვილნი, სშირად ისეთი საშუალებებს მიჭმართავენ, რომელიც ასუსტებს ჩვენს თანაგრძნობას. მშკენივრად

\*) ვისაზედ და რამინზედ ნახე კიდეც Ethé Hermann. Essays und studien (Berlin, 1872), რომელიც აღიარებს ამ რომანს ტრისტანის და ისელდას თავგადსავალს კელტურს მოთხრობაში გერმანიელი პოქტის პოტურილ სტრასბურგელის-მიერ.

არის დასურათებული ვისას გამდელი, თანამოზიარე და თანაშემწე შეყვარებულ მეგობართა. იგივე საუკეთესო წარმომადგენელი იმ არამ-სადა სსსიათისა, რომელითაც სავსეა სპარსეთის ისტორია. ვეულებ-სუდ ჰატიოსანი და თანამგრძობის ღირსი არის ზერდი, ძმა მო-ბედისა. იგი ზნეობით და ძმის ერთგულებით დასაჩუქრებულია ზოეტისგან, თუმცა რომანში უჭირავს მეორე ხარისხისგან ადგილი.

რასაკვირველია, მე-XI საუკ. ჰომას არ მოეთხოვება ჩვენის დროის მასალის ყალბით ჩამოსხმა. გუულებრეყად და გუუწრფე-ლად ნაშობი გაიძვერაობა გურგანის გმირებისა შეადგენს ერთს უძვირფასეს მსარეს ამ ჰომისას.

გურგანის ჰომის უმთავრეს ღირსებად მიაჩნიათ ის მნიშვნე-ლობა, რომელიც მას აქვს ძველი სპარსეთის კულტურის ისტორი-ისათვის. «შაჰნამე»—რომელსაც ქართულად უსაფუძვლოდ (მთელს ჰომას) უწოდებენ «როსტომიანად»,—გვაცნობებს მხოლოდ გარე-გან მსარეს სპარსეთის ცხოვრებისას. «ვისრამიანში» ომებს და პო-ლიტიკურ საქმეებს დათმობილი აქვს მეტად მცირე ადგილი, რა-დგან რომანტიული ინტერესი შეადგენს დედამარღვს მთელის ჰომ-ისას. «შაჰნამეში» ქალები შედარებით გაცბოთან ჩრდილში არიან დაყენებულნი, «ვისრამიანში» კი ქალი წინ არის წამოყენებული, მის გულის მოძრაობას ზოეტი უძღვნის საუკეთესო სტრიქონებს და თვით ძაღლდონეს. ამ განსხვავებასთან «შაჰნამეს» და «ვისრამიანს» აქვთ ბევრი საერთო მსარეს, დაკავშირებულნი არიან დროთა ვითარ-ებების გავლენით. ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, ფიქრი და გრძნო-ბა მომქმედ პირთა ორსავე ჰომასში ერთგვარი, ერთფერი და ერთ-გემოვანია. ირანის გმირები თავისუფალს დროს ატარებენ ნადირო-ბაში ანუ ქეიფში, ჰურთავენ სიყვარულის მორეკში და სტუმბობან მგოსანთ-ჩანგთა ხმებით. რამინი საუკეთესო წარმომადგენელია მა-შინდელ მოქიფე დიდგაცისა: უმიშარი მონადირე, თაყვანისმცემე-ლი ღვინის, ქალის და მუსიკისა იზურობს ვისას გულს და შემ-დეგ იმორჩილებს ახალს სატრფოს. თითონ მშენივრად უკრავს ჩან-გზედ. და ქართული ტუქსტის მიხედვით, ეს სამუსიკო იარაღი იმის მოგონილია,\*) სწორს ლექსებს და გურგანის ჰომასში ხშირად მო-

\*) პირველი ჩანგი მან მოიგონა (ვისრამიანი, გვ. 452, ტფილისი 1884).

ეკანილია ნაყოფი მისი აღმსოფნისა (307, 12), «განუწყვეტლივ» მოვრალია და ჭყიდდის ღვინის გულისთვის საკუთარს ტანსაცმელს.

სარწმუნოებრივი წარმოდგენა «ვისრამიანში» იგივეა, რაც «შანტ-ნამეში». ჰოკტი ასურათებს ზნეობის და ჩვეულების მხრივ სასანი-დების ხანას სპარსეთის ისტორიაში. თუმცა შესავალში გურგანის აღიარებს მანქანის მეფეს და ასკამს ისლამის ბეჭედს, მაინც ჰოკტი სასკა ზანტრუმტრის შესედულებით. ამ სწავლის სიმტკიცით აის-სნება ის გარემოება, რომ ვისას მიათხოვენ მისსაკე ძმას ვირას, რადგან «ავესტას» მოძღვრებით ასეთი ქორწინება აკრძალული ვი-არა, ნაბძნები და სასურველი იყო. ზეციურ მანათობელთა გაგლე-ნა კაცის ბედობაზედ გატარებულია გურგანის ქმნილებაში. მზე, მოვარე და ვარსკვლავნი მობედის კეზირებად ირიცხებოდნენ, მე-რეტი მეფის შიკრივი და მის ბძანების დამტარებელი იყო.

«ვესტაში», სადაც მოთხრობილია ზანტრუმტრას მოძღვრება, უკვე აღნიშნულია კვალი ზეციურ მანათობთა თაყვანის-ცემისა. ამ მოძღვრებაზედ აგებულს, «ვისრამიანშიც», აქა-იქა გვხვდება ასტრო-ლობთა რჩევანი და ვარსკვლავთა გაგლენა კაცის ცხოვრებაზედ. ამა-ვე ძველი სპარსეთის სწავლის კვალს უჩვენებს ცეცხლის თაყვანის-ცემა და მითი განწმენდა. მოხედი ფიცს ართმევს ვისას ერთგულე-ბაზედ და ამ ფიცს უკანასკნელი აღიარებს ცეცხლითა: \*) «აწ მე დიდსა ცეცხლსა დაგზნებ, ალგასა და მუშკსა დაგაკუამლებ; ამა ყო-ველთა დიდებულთა და ღაშქართა წინა შემომფიცე ცეცხლითა, მას შუა გამოიარე, რომელ მასვე წამსა რა შემომფიცო, შეცოდებისა-გან სულითა წმიდა იქმნე». (გვ. 148). ჰოკტის დასასრულში კიდევ ვკითხულობთ ისეთს ადგილს, რომელიც მოწმობს ირანის რელი-გიის ზედგაგლენას: «ვისი ჩამოვიდა და ჯომედის აგებულსა საცეცხ-ლესა მოვიდა ლოცვად» (გვ. 438).

თვალის კერა და ჯადოქრობა სპარსულს ლიტერატურაში იშვიათს მოგლენას არ შეადგენს. «ვისრამიანში» ამგვარ ცნობას ვხვდებით იქ, სადაც ვისას ძიძა შეუერთავს მოახადს კაცობას: «მე-

\*) შანამეში მეფე ქეიკაუზი თავის შვილს სიავუმს ატარებს აღზნებულს ცეცხლში. ვეღერის გამოცემა, II, 549, 494—95.

ძამან სპილენძი და ძვალდი მოიღო და გრძნებთა რათმე ტილისძა შექნა: ორი მოახადის სასე და ერთი ვისისი; შეულოცა რამე რკინითა ერთმანერთს ზედან მაგრად შეაჭედნა. ძიძა მაგალითად გრძნეული იყო და ეს ორი ჩასიში ასრე ვითამე შექნილი იყო, რომე ვიკრეტა ერთგან დაჭედილი იყუნენ, მოახად ვისისა ზედან შეკრული იყოს და თუ ვინ გასსნიდა, მასკე წამსა გაისსნებოდა». (გვ. 65) ძველს საწმუნოებრივს წარმოდგენაში ტრესლი და რკინა დაკავშირებული იყვნენ მითოლოგიასთან, ჰქონდათ უზენაესად მინისტებული ძალა.

გურჯანის ზოგაში მოხსენებულინი არიან სწავლულთა განთქმულნი გმირები: ალექსანდრე დიდი, მეშვილდისრე არიში, ბძქენი სო-სროი და სსკანი. ქართულში ამით მაგივრად გვხვდება ამირანი: «ადრე ახსრდების ქალაქი, რომე ორნი ამირანი დგენ» (გვ. 388).. «შენი ძმა ვირო გიშველის, — ეუბნება გულდათუთქული რამინი ვისისს, — სსვად ეგეჯა ამირანი და სელმწიფენი თქენისა სამისს-ურისათვის მისსურისაებრ სარტყელსა შეირტყენ» (გვ. 425). საეურადღებოა ვიდეკ ერთი ადგილი, სადაც ვკითხულობთ სასელებს «სოლომონ და ბალაჟ», რომელსაც აკტორი ადარებს მობედს. ბალაჟ შეიძლება «ბალაგარი» იყოს, რომელიც უკვე ცნობილია ქართულად («სიბრძნე ბალაგარის») მე-XI საუკ.

ზანატუშტრის მოძღვრებას ეკუთვნის აგრედვე მოხსენებული ქართულს «ვისრამიანიში» ეშმა (გვ. 88), როგორც სმარობს შოთა რუსთაველიც მოკვეცილი ფორმით ახლანდელი ეშმაკის მაგივრად. ეშმა იყო არამიანის მისსურ და, როგორც მოგვსსენებათ, ეს არამინი ირცესებოდა ახურამაზდის (ჩვენს «არმაზის») — კეთილის დმერთისა — მოწინააღმდეგედ. ამ ძველ საწმუნოებრივ წარმოდგენასთან «ვისრამიანიში», როგორც გადააკეთა გურჯანმა, მოსჩანს კვალი მაჭმადიანთ და არაბთა გავლენისა. რასაკვირველია, რომ «მუსულმანობა» (გვ. 1) «ფალაურს» ტექსტში არ მოიძებნებოდა. აქ უნდა მკითხველს გაეუზიარათ ისტორია ამ ზოგისა.

როგორც თვით გურჯანიც, მე-XI საუკ. ძველადი, მოკვეთსრობს და ჩვენს ვისრამიანიში ვკითხულობთ, ეს რომანი ზირველად დაწერილი იყო ფალაურს («ფექლეურს») ენაზედ. ვასფურ მოუთსრობს

სულტანს ტულუნიდებს ვისის და რამინის ამბავს, რომ მან იცის ამ უკანასკნელთ შესახებ: «კარგი ამო ამბავი, მეცნიერთაგან თქმული და შეწყობილი ფალაურითა ერთთა. და ფალაური ენა თუ დიდად არავინ იცის, ვერავინ თარგმნის. აწ თუ შენ მიბრძნო, მე გამოკატნადო მათი და ვთარგმნო სპარსულად». (გვ. 3) \*). ეს ძველი ფალაური ანუ ფეხლეური წყარო ვისის და რამინის რომანისა აქამდის არ არის აღმოჩენილი და საწმუნოდ მიგვაჩნია იმ აზრი, რომ ჩვენი «ვისრამინი» გადმოღებულია ქართულად პირდაპირ ამ ფალაურის მოთხრობიდან და არა იმ პოემიდან, რომელიც მე-XI საუკუნე ლექსად შექმნა გურგანმა სპარსულს ენაზედ ამავე ფალაური წყაროს სელმძვანელობით. \*\*) «გურგანის» პოემით რომ ესარგებლა ქართველს მთარგმნელს ლექსებს მანაც ჩაუთავდა, გურგანის მიხედვით, მეტადრე თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჩვენს წინაპრებს მეტად უყვარდათ ლექსწერებითი მოთხრობა იმისთანა სხვაგვარისა, სხვადასხვა უფრო შესაფერი იყო. გარდა ამისა სხვა სპარსული ნათარგმნი მოთხრობანი ყოველთვის ლექსებით შემოგვბრუნდნენ, ან ლექსად დაწერილნი, როგორც კი დედანი უჩვენებდა.

«ვისრამინის» ქართულად გადმოღების უძველესს დროს ამტკიცებს თვით ენა მოთხრობისა. მართლაც, ჩვენ არ გვაქვს შემოშვებული «ისტორიული გრამმატიკა ქართულის ენისა», რომლის მიხედვით შეგვეძლოს ეს თუ ის ნაწერი განსაზღვრულ პერიოდს მივაკედლოთ, მაგრამ დასაზოგებით მანაც შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ზმნათა ანუ სახელთა ფორმანი იმგვარად არიან ნახმარნი, რომელთაც დაჯგუფებს თავიანთი სახე შემდეგ ხანებში. მაგალითად, ჩვენი ტექსტი იძლევა ფორმას «წაე», «მოე» (გვ. 131, 271), «ქეე ზი, ზე ადეე» (431), რომელთაც უახლოესს დროს ვეღარ ვხედავთ. საუფრადლესა, პირველი ნაწილი სიტყვისა «ზი» და «ზე ადეე»,

\*) ერთხელ კიდევ შეგვხვდება ცნობა, რომ უწინდელი ტექსტი „ვისრამინისა“ დაწერილი იყო ფალაურად: სუარასანი ფალაურითა ერთთა ამოსა და მომცემა ქვეყანისა პქვიან (გვ. 128).

\*\*) გურგანიც წინასიტყვაობაში ამბობს, რომ „ფალაური ერთ არის დაწერილი ქება „ვისრამინისა“, სუყველას არ ემის ეს ენა და კიდევ რომ კითხულობდეს კაცი, მანაც მისს შინაარსს ვერ გაიგებს სუყველა.



ასლანდელ ფორმის მაგიერ «ზისარ» და «ზეზე», ესე იგი ძველად იხმარება ორკვტი—ზმანა და თანდებული\*) და შემდეგ კი მის ნახევარი. ამ შემთხვევაში ქართულს თანდებულს გამოეყოფა იგივე პრარესი, რომელიც აღნიშნულია საერთოდ ენათა მეცნიერებაში; რთული ფორმიდან იხადება მოკლე ფორმა, გრძელს სიტყვას ეკვერება რომელიმე ნაწილი. ამ საერთო კანონიდან გამოეკლებას შეადგენს ქართული «ეშმაკი», რომელიც «ვისრამიანში» და «ვეფხისტყაოსანში» იხმარება იმ ფორმით, როგორც ზარატუშტრას მოძღვრებაშია: «ეშმა». აქედან ორ ნაირი დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ: ან უძველესს ფორმას «ეშმა»-ს შემდეგ დაერთო ნაწილაკი «კი» ან «ეშმას» გვერდით ძველადანვე იხმარებოდა «ეშმაკი»-ც, რომელიც დარჩა ჩვენს დრომდის.

როგორც ჩვენს ყველა ძველს ნაშთებში, «ჟ» იხმარება ყოველთვის, როცა მას მოსდევს სმოკანი ასო: გუარბი, თუაფი, გუისნა, თქუენ. ასლანდელს რბილს «თ» უდრის უძველესად მაგარი «ტ»: «ტილისმა» (გვ. 65), ასლანდელი «თილისმის» მაგიერ. «რ» არ მოკარდნია სიტყვას ერთმანერთს (შეადარე ახლა ერთმანეთს ერთმანეთს მაგარად ერთმანეთისა). სიტყვა «პილა» «ვისრამიანში» იხმარება ისე, როგორც სპარსულში—«პილა», ესე იგი არ ებმის თავში ს, როგორც მობმული აქვს სიტყვას «სპარსი» (შეადარე რუსული перс და სხვ. ენებში). კითხვითი ნიშნისთვის იხმარება სმოკანი «ა»: პპოვა («ვისრამიანი» გვ. 240).

ჩვენს კთქვით, რომ ქართულად «ვისრამიანი» არ არის გადმოღებული «გურგანის» ზოკმიდან, არამედ იგი გადმოკეთებულია «ფაულაური» წყაროდან, რომლითაც ისარკებლას თვით გურგანმაც. გარდა იმისა, რომ გურგანმა ლექსად მოაწყო «ვისის და რამინის» რამანი და ქართული კი პრარესად დაგვრჩენია, გადმოკეთება «ფაულაური» ტექსტიდან კიდევ მოსჩანს სსვა-და-სსვა ადგილებიდან: ქალაქი მერკი, ქართულად «მარკად» არის დასახელებული, «მოხედი» გურგანისა ჩვენ «მოხადედი» გვსვდება ქართულს მოთხრობაში, «შესრე»—«შარედ». ერთს ადგილას ჩვენ შეგვისვდება ქართული გო-

\*) ერთი თანდებულია კიდევ შესანიშნავი სიტყვაში გურგანიდალმა (აღმა) გვ. 486.

გრაფიული ტერმინი: მტკვარი: «მინდოთა შიგან მტკუარს ადინ-  
ნო» (გვ. 77).

«ვისრამიანის» გადმოკეთება ქართულად უფრო სარწმუნო იქნე-  
ბა შვითხევისთვის, თუ მოკვანებთ იმ მოთხრობების გადმოღე-  
ბას ჩვენს ენაზედ, რომელთაც დაჩენია აქამდის სპარსული დედა-  
ნიც და არ დაკარგულა «თაღაური» «ვის ო რამინისა»-ვით. შანსამეს,  
(«როსტომიანი») «ლეილა და «მაჯნუნს» თუ შეადარებთ ფირდო-  
უსის და ნიჰამის ქმნილებას, ადვილად მისგანებით, რომ ჩვენნი  
წინაპრნი მეტად თავისუფლად ეკიდებოდნენ სათარგმნელ ნაშთს.  
«როსტომიანი» და «ლეილა» ნათარგმნი ვი არ არიან, არამედ სპარ-  
სული მოთხრობა ლექსად ნააშობია ქართველი პოეტისაგან ისე  
თავისებურად, რომ იშვიათად იზოვით სიტყვან-სიტყვით გადმოღე-  
ბულს რომელიმე ტაგანს\*). აი ამ სარწმუნო შედარების მიხედვით ჩვენ  
უფრო უკლებლად მიგვაჩნია, რომ არც «ვის ო რამინის» მთარგმნელი  
გაჭყუებოდა ბრძან თვის დედანს, თავისებურად შეიმუშავებდა და  
ადგილობრივი გემოვნების ბეჭედს დასაკამდა.

#### ა. ხანანაშვილი



\*) ნახე ჩემი მოხსენება „აღმოსავლეთის კომისიაში“ — „Ростоміани, груз. пе-  
реводъ Шахъ-Намѣ“ და შეადარე ქართულს „ლეილა და მაჯნუნს“, თუ გნებავთ,  
ინგლისურად ნათარგმნი: Laili and Majnun, a poem from the original per-  
sian of Nisami by James Atkinson. London. 1836.

894.63.09  
6 341